საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი;
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ[illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო[illegible]
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 552 ოთხშაბათი, აგვისტოს 22 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის
სენაკის დრ. სამაზრო კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია
პარტ-ორგანიზაციების
სამაზრო კონფერენცია
დღის წესრიგი:
1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრკომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიაც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ სათათბირო ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.
კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.
ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. სამაზრკომი.

საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის
შორაპნის სამაზრო კომიტ. დადგენილებით
კვირას, აგვისტოს 26 ქ. შორაპანში მოწვეულია ს.-მემ. სოც.-ფედ. პარტიის
შორაპნის სამაზრო კონფერენცია
დღის წესრიგი:
1. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო.
2. პარტიული მუშაობა.
3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა თავისი მოქმედების შესახებ.
4. მოხსენებანი ადგილებიდან.
5. მიმდინარე საკითხები.
6. არჩევნები სამაზრო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის.
მცირერიცხოვანი ორგანიზაციები გზავნიან კონფერენციაზედ თითო დელეგატს, მრავალრიცხოვანები კი—ყოველ 25 წევრზედ თითო დელეგატს. ახალგაზრდათა და ქალთა კომიტეტებს შეუძლიათ გამოგზავნონ თითო წარმომადგენელი სათათბირო ხმით. დელეგატებს ირჩევს წევრთა საზოგადო კრება.
კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზედ შორაპნის მუშათა კლუბის დარბაზში.
შორაპნის სამაზრკომი.

## კულტურული ფრონტი

კულტურული ფრონტის საკითხს არა ერთი წერილი უძღვენით. განსაკუთრებული ყურადღების საგნათ გავხადეთ ეს საკითხი, იმიტომ, რომ აქ მარხია მრავალი საკითხის გადაჭრის შესაძლეობა. არა მარტო ნაციონალური პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრა, არამედ სოციალური პრობლემების გადაჭრაც მჭიდროთ დაკავშირებულია კულტურული ფრონტის საკითხთან.

როდესაც მუშკორები უპასუხისმგებლობასა და თვითნებობაზედ სწერენ, როდესაც ადგილი აქვს მრავალგვარ ცუდ მოვლენას, უხეშ მოქცევას, ბიუროკრატიზმის ნაშთებს და სხ. და სხ. ყოველივე ეს შედეგია იმ გარემოების, რომ ჩვენი თაობა კიდევ იმ „უკულტურო კულტურის“ ატმოსფერაშია აღზრდილი, რომლითაც ცარიზმი ხელოვნურად რყვნიდა და ათახსირებდა ადამიანის გონებრივ-ზნეობრივ ცხოვრებას.

ცხადია, კულტურამ არ იცის დღეები და თვეები თავის განვითარების უზრუნველსაყოფად. ათეული და ასეული წლების განმავლობაში იჭედება ერის კულტურა, ყალიბდება მისი მატერიალურ-სულიერი საგანძური. ჩვენი ხალხი საუკუნის მოხობის შედეგებს გახიცდის, მაგრამ საუკუნე კიდევ საკმაო არ იყო ათეულ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ კულტურის უარსაყოფად, მოსასპობად. ყოველი ქართველი, ისე როგორც ყოველი ერის შვილი, თავის მხრებზედ ატარებს საუკუნოების კულტურის ფენებს, რომელიც შეუქმნია ერს თავის განვითარების პროცესში.

განსაკუთრებული სიმწვავით ისმის დღეს კულტურული ფრონტის საკითხი საბჭოთა რესპუბლიკებში. კიდევ მეტ მნიშვნელოვან სახეს ილებს ეს საკითხი ყოფილ დაჩაგრულ ერებში. აქ იწყება უკვე ეროვნული კულტურის ასაღორძინებელი მუშაობა. მონობისაგან განთავისუფლებული ხალხი ჩქარის ტემპით სცდილობს მაქსიმუმის მიღწევას. ამ მოვლენას თან ერთვის ნაციონალური საკითხის მნიშვნელობას. ამიტომ საჭირო ხდება ფართოდ დაყენება კულტურული მუშაობის, ფართოდ მუშაობის გაჩაღება ამ ფრონტზედ.

კულტურა არ შეიძლება გვექნეს არა მშობლიურ ენაზედ, ხოლო თუ კულტურა არ გვექნა მაღალი და განვითარებული, არ შეიძლება გვქნეს სოციალიზმი, კომუნიზმი, რადგან უმაღლესი იდეალის განხორციელებას მაღალი კულტურული საფეხური სჭირია.

დღეს კულტურულ ფრონტზედ სათანადო მუშაობაა გაჩაღებული. მუშაობს კონსერვატორიები, თეატრები, ყველა საფეხურის სკოლები. ეს მუშაობა მაქსიმუმადე უნდა გავაცხოველოდ, უმთავრესად, უნდა შევქმნად მშობლიურ ენაზედ ლიტერატურა ორიგინალური და თარგმნითი, უნდა უზრუნველვყოთ კულტურული მუშაობის შესაძლეობა ფართო მასისათვის.

არ უნდა გვავიწყდებოდეს კულტურული მუშაობის დიდი მნიშვნელობა სოფლად. სამკითხველოები მარტო ვერ გვიშველის. საჭიროა უფრო სხვა ხასიათის მუშაობა, პოპულიარული ლიტერატურის გავრცელება ცხოვრების ყოველი დარგიდან, ცოცხალი სიტყვა, დახმარება აგრონომიული, მედიცინური, უფლებრივი და სხ.

ამ მხრივ მუშაობის ფართოდ დაყენებაა საჭირო. აქ უნდა გამოვიყენოთ კულტურული ძალების მაქსიმუმი. უნდა ავამოძრაოდ ყველა, ვისაც კი შესწევს უნარი კულტურული მუშაობისა.

## რადიო-დეპეშები

### გერმანიის ამბები

**ბერლინი.** 16 აგვისტო. ფასების კატასტროფიულ ზრდის გამო, საქსონიის კომპარტიამ მოთხოვნილებით მიმართა ცეიგნერის მთავრობას, რომ მან გადამჭრელი ზომები მიიღოს მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საქსონიის კომპარტიის საოლქო პრეზიდიუმმა მოწოდება გამოაქვეყნა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მემარცხენე სოციალ-დემოკრატები შეუერთდენ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მემარჯვენე ფრთას, რომელიც შტრეზემანთან და ჰილფერდინგთან თანამშრომლობს, უკანასკნელ შეერთებულ სხდომაზე საქსონიის მთავრობის წევრებთან ერთად კომუნისტების ლიდერმა ბეტხერმა განაცხადა, რომ კომპარტია უფლებას იტოვებს ყოველგვარი ზომები მიიღოს მის მიერ წამოყენებულ ლოზუნგების განსახორციელებლად.

**ბერლინი.** 20 აგვისტო. მარკის კურსის კატასტროფიულად დაცემის გამო, გლეხები უარს ამბობენ ყოველგვარ გარიგებაზე მარკით და ამჯობინებენ საქონლის გაცვლა-გამოცვლას. ბავარიაში გლეხები თუმცაღა ღებულობენ მარკას, მაგრამ ძლიერ ძვირად აფასებენ თავიანთ პროდუქტებს. პროდუქტების შემოტანა სოფლებიდან ქალაქებში ძლიერ შემცირდა.

**პარიზი.** 20 აგვისტო. ეკონომიური კრიზისი ბერლინში გამოიხატება იმაში, რომ მრავალი სავაჭრო დაწესებულებები ამცირებენ თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს.

**პარიზი.** 20 აგვისტო. უცხოელები მასიურად სტოვებენ გერმანიას. სასტუმროები იცლება.

**ბერლინი.** 18 აგვისტო გერმანიის ახალი მთავრობა ძველ რეპრესიებს მიმართავს მუშების წინააღმდეგ გაშვებულია სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი და ადგილობრივი კომიტეტები, მათ რიცხვში ბერლინის 15 კაცისაგან შემდგარი კომისიაც. მთავრობა ბრალს სდებს კომიტეტს გაფიცვების ხელმძღვანელობაში და აკრძალულ პროლეტარულ რაზმების შედგენაში. განკარგულების ნამდვილი მიზანია—შეუძლებელი გახადოს მუშათა ლეგალური ორგანიზაცია მომავალ ბრძოლაში. კომუნისტური პრესა მთავრობის განკარგულებას სთვლის პირველ ხაზიჯათ გერმანიის კომპარტიის წინაღმდეგ. 15 წევრისაგან შემდგარი კომისიის გაშვება დღევანდელ მომენტში ხელს შეუშლიან ფაბრიკა-ქარხნების რევოლიუციონურ კომიტეტების შეკავშირებას, რომელთაც 15 აგვისტოს პლენუმში მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები გაუწევდენ იდეურ ხელმძღვანელობას პროფკავშირთა ოპოზიციას. რეფორმისტული პროფკავშირები კმაყოფილი არიან მთავრობის განკარგულებით, ფიქრობენ რა, რომ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დახურვა დახმარებას გაუწევს რეფორმისტებს ოპოზიციონურ პროლეტარიატთან ბრძოლის დროს.

სრულიად გერმანიის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დახურვამ აღმაშფოთებელი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინის მუშებზე, ვინაიდან ეს არის მქონე პროლეტარიატის ერთათ-ერთი ორგანიზაცია.

## ახალი ამბები

**უმუშევართა დაზღვევა.** შრომის სახ. კომისარიატის მიერ განახლებულ და დამტკიცებულ იქნა ინსტრუქცია უმუშევართა დახმარების და შეღავათების შესახებ. ინსტრუქცია ძალაში შევა 1 ენკენისთვიდან.

— **კონკურსი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლზე.** არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ამგებ კომისიის მიერ გამოცხადებულია კონკურსი. ხსენებულ ძეგლის პროექტზე პირველი ჯილდო 15 ჩერვონცი, მეორე 10 ჩერვონცი.

— **პროდუქტკულტის ტეხნიკუმში** მიღება გაგრძელდება 10 ენკენისთვემდე.

— **მუშაობის პირობების მოწესრიგება პურის საცხობში.** შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა შეიმუშავოს ფურნებში, საკანდიტეროებში და საერთოდ პურის საცხობებში მუშაობის პირობების გეგმა მწარმოებლებთან შეთანხმებით.

— **შტატების გადიდება.** შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა: მუშაობის გასაძლიერებლათ გადიდებული იქნეს სტატისტიკურ ბიუროს შტატი.

— **უმუშევართა მოძრაობა.** 18 აგვისტოს შრომ. ბირ. აღრიცხვაზე გამოცხადდა 454 უმუშევარი. ჩაეწერა—122 სამუშაოზე გაემგზავრა—68 უმუშევარი.

— **სასამართლოს რეფორმა.** იუსტიციის კომისარიატმა უზენაეს და საოლქო სასამართლოების თავჯდომარეებთან ერთად გამოიმუშავა ინსტრუქცია სასამართლოების რეორგანიზაციისა.

— **ჯარის პოლიტ-ხელმძღვანელთა კურსანტების ექსკურსია.** 25 აგვისტოს ბორჯომ-ბაკურიანში გაემგზავრება, პოლიტ-ხელმძღვანელთა კურსანტების ექსკურსია.

— **სადგური.** კახეთში გაიხსნა მევენახეობა-მეღვინეობის სადგური, რომლის საშუალებითაც უკვე დაიწყო კახეთის ნიადაგის გამოკვლევა.

— **სისხლის სამართლის მილიციაში.** მოქალაქე სიმონ აშხატურიანცმა მცხოვ. მალაკნის ქუჩა, № 52, გამოაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ვიღაცა უცნობს გამოუტყუილებია მისთვის ნივთები და მიმალულა; ნივთების რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია. ავაზაკების შესაპყრობად მიღებულია სასტიკი ზომები.

— **მოქალაქე მეხრიშვილმა** ალექსიმ, მცხოვრებმა პეტრე დიდის ქუჩაზე, № 3, განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში: მას ესტუმრა სოფ. ბურაჩაურიდან მოქ. ნ. მეხრიშვილი და გაქურდა; ღირებულება უდრის 300,000,000 მ. შესაპყრობლად მიღებულია სასტიკი ზომები.

— მოქ. ვლადიმერ და კოსტა გოგილაძეებმა განაცხადეს სისხლის სამართლის მილიციაში, რომ ისინი იქნენ გაქურდულნი. წაღებულია ავტომობილების სახურავები, რომლის ღირებულობა უდრის ერთ მილიარდ მანეთს. ბოროტმოქმედნი დააპატიმრეს.

— **მოქ. კონტრაციკოვსკიმ** სტანისლავმა, მცხოვრებმა ბებუთოვის ქუჩა № 46, განაცხადა სისხლის სამართლის მილ., რომ ის გაქურდულ იქნა სახლში არ ყოფნის დროს. დანაკარგი უდრის ას მილიონ მანეთს. ამ საქმეზე დაპატიმრებულია მოქ. ამირბეკოვი.

## პარტიაში

ოთხშაბათს, აგვისტოს 22, საღამოს 7 საათ დანიშნულია ტფ. მეორე რაიკომის სხდომა გასარჩევია ფრიად სასწრაფო საკითხები. როგორც წევრების ისე კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი.

—

დღეს, აგვისტოს 22, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში შესდგება მორიგი სხდომა, მე-4 რაიკომის. სავალდებულოა აღნიშნულ დროზე გამოცხადენ ამხანაგები.

## მუშათა ცხოვრება

### კოოპერაცია და მუშების მდგომარეობა.

(სადგ. შორაპანი)

სიტყვა „კოოპერაცია“ თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს დღევანდელ ეკონომიურს ხანაში მუშათა შორის სულიერ საზრდოს და იმავე დროს თუ რა სარგებლობა მოაქვს მუშებისათვის და ან რა აქვს მას მიზნათ დასახული, ეს ყველასათვის ადვილი გასაგებია: კოოპერაციის მთავარი მიზანი, მოკლეთ რომ ვსთქვათ, არის: „კონკურენცია“ გაუწიოს ბაზარს: აწარმოვოს ყოველგვარი ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ, მიაწოდოს მუშებს შეღავათიან ფასებში უსაჭიროესი საგნები მაშინ, როდესაც უფულობის გამო ისინი დიდ გაჭირვებას განიცდიან და ამით შექმნან სრული კავშირი ურთი-ერთ შორის; ე. ი. გაუწიოს ყოველ გვარი დახმარება მუშათა კლასს სხვა და სხვა სახით, რითაც კი შეიძლება; მაგრამ ჩვენ-და საუბედუროთ ამას ასე არ ვხედავთ დღეს: იმის მაგიერ, რომ დახმარება გაგვიწიონ კოოპერატივებმა, პირიქით თითქოს ყოველ დღიურათ გვასამარებს მით, რომ მოსდის განყოფილებებს „ზაკტპო“-საგან აუარება დეპეშები საქონელზე ფასების მომატების შესახებ. ასეც რომ აქ გამოდის არამც თუ „კონკურენცია“ და დახმარება,—არამედ უფრო მეტ ფასებში იყიდება ყველაფერი, ვიდრე ბაზარზეა; საერთოთ არაფერი განსხვავება არ არის მათ შორის. სხვათა შორის იყო ლაპარაკი დახმარებაზე ე. ი. კოოპერატივებს უნდა მიეცა საქონელი ნისიათ მუშა-მოსამსახურეებისათვის; მაგრამ ჯერ-ჯერობით აქ ასეთი არაფერი არა სჩანს და ზამთარი კი ნელნელა გვიახლოვდება.

მაშ, როგორ უნდა დაეხმარონ მუშებს!?.. და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ საკითხის შესახებ?!—ეს ჩვენ ძლიერ გვაინტერესებს, ვინაიდან ჩვენი ბედ-იღბალი მასზე არის დაყრდნობილი.

საჭიროა ამ საკითხის თავის დროზე მოგვარება, საჭიროა ჩვენი დახმარება და ვნახოთ!!...

„სინსილა“.

# ამაყ კატორღელის ხსოვნას *)

„გიგზავნით წიგნებს და რევოლვერებს
ტყვიებით, ესროლეთ, დახოცეთ, იბრძოლეთ,
იბრძოლეთ, მოახდინეთ აჯანყება“...

**გ. ზდანოვიჩის წერილიდან.**

როს ბნელოდა გარშემო და ბორკილი წელში გვხრიდა,
როცა ხალხი უნუგეშოდ განწირული ცრემლებს ღვრიდა,
როს მტარვალთა შავი ხელი ჩვენს ბილიკზე ეკალს ჰყრიდა,
როცა სუნთქვას გვიშხამავდნენ და ჩვენს იმედს კვნესა სჭრიდა—
მაშინ მოხველ და მოგვეცი დინამიტი, ტყვია, რკინა,
და გვითხარი:
— ესროლეთ, გადასწვით და დაანგრიეთ მტერთა ბინა,
ამოხოცეთ, ღვარეთ სისხლი, სხვისიც, თქვენიც, მხნეთ და მარჯვეთ,
ოღონდ არ კი დაივიწყოთ;—უეჭველათ გაიმარჯვეთ...
მერე ციხე, მერე დევნა, კატორღა და ყრუ კედლები,
ცივ ციმბირის უმზეო ცა და ფოლადის ბორკილები
მაგრამ იქაც ცეცხლეული შენი ხმები:

— მხნეთ და მარჯვეთ,
ღვარეთ სისხლი, ამოხოცეთ, იბრძოლეთ და გაიმარჯვეთ.
ჩვენ გაგვზარდა ამ ძახილმა ჩვენ ვისწავლეთ [illegible] წესი,
ჩვენც ავინთეთ გულში ცეცხლი შენს ზღვა-[illegible],
და შევითქვით, შევირაზმეთ, მოვიმარჯვეთ [illegible],
და დავლეწეთ ერთის დაკვრით სისხლიანი კერპის ტახტი.
და როს მწყობრი სიმღერებით ვზეიმობდით გამარჯვებას,
უცბად მწუხრი გადეფარა ჩვენს სანატრელ ალტაცებას,
ზარი დაჰკრეს და ჩვენს თავზე დროშამ წითლად ჩამოგვტირა:
„დღეს ამაყი კატორღელი მზეს მოსწყდა და გაიწირა“.
გულში გრძნობა აგვიტირდა—მაგრამ არ გვსურს რომ ვიგლოვოთ,
გვინდა შენი მოწოდება შევასრულოთ საბოლოვოდ,
და დღეს როცა სულს ვაკვნესებთ, სულს—შენს სულის გამომსახველს,
გვინდა თავი დავიხაროთ და შევფიცოთ შენს დიდ სახელს:
შევფიცოთ, რომ შენი დროშა მუდამ მაღლა იფრიალებს,
მუდამ მკერდით შევებმებით მტრის მახვილს და სვავ მტარვალებს.
შენს ნაჩუქარ ცეცხლ და რკინას მტკიცე მკლავით მოვიმარჯვებთ,
და შენს ლანდის სადიდებლათ სამუდამოთ გავიმარჯვებთ.

**ს. ფაშალიშვილი.**

*) ეს ლექსი ამოღებულია „სახალხო საქმის“ № 221-დან. (1917 წ. 9 აგვისტო.)



**გიორგი ფელიქსის ძე ზდანოვიჩი**
**1855—1917.**

# დიდი კატორღელი

**„მე ღრმად მწამს ხალხის გამარჯვება და სოციალური რევოლიუციის ძლევამოსილება“.**

**გ. ზდანოვიჩი.**

ექვსი წლის წინად, სწორედ დღევანდელ დღეს, ქუთაისში მიწას მიაბარეს დიდი რევოლიუციონერის ყველასათვის ძვირფასი ცხედარი.

საჭიროა ადამიანის სულის შეცნების უნარი შექსპირისა და მეტყველება ჟორესის, რომ გადმოსცე ის გლოვა და გოდება, რომელსაც განიცდიდა ქ. ქუთაისი დიდი კატორღელის გ. ზდანოვიჩის დასაფლავების დღეს. აქ იყო რაღაც სტიქიური ვაება, ვაება მთელი ხალხის, მთელი საზოგადოების, მთელი ერის. არავის არ სურდა ცრემლით შეხვედროდა დიდი კატორღელის ცხედარს, ყველა გრძნობდა, რომ დიდი რევოლიუციონერის ცხედრის წინაშე არ სტირიან, არამედ ფიცსა სდებენ, მაგრამ მაინც ყველა სტიროდა. სტიროდა დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი, მოხუცი და ახალგაზრდა. სტიროდა ყველა განურჩევლად მიმართულებისა, განურჩევლად პოლიტიკური სხვაობისა.

რისთვის მოიცო გლოვამ მთელი ხალხი? რისთვის შეიქნა გ. ზდანოვიჩის დაკარგვა უჩვეულო მწუხარების საგანი?

გ. ზდანოვიჩს იცნობდა ხალხი, როგორც დიდ რევოლიუციონერსა და კატორღელს. მას იცნობდა არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ რუსეთის რევოლიუციონური მუშათა კლასიც.

იცნობდენ გიორგის, როგორც შვეიცარიაში შეკრებილ მცირე რიცხოვან თავგანწირულ ახალგაზრდათა ერთ თვალსაჩინო წევრს. იცნობდენ გიორგის, როგორც მე-70 ათიანი წლების „ხალხში გამსვლელთა“ მეგობარს. იცნობდენ გიორგის იმ ახალ თაობის რიგებში, რომელიც გატაცებული იყო ბაკუნინით, ლავროვით, მარქსით, პრუდონით ლასალითა და სხვებით, და რევოლიუციონური თავგანწირვით ებრძოდენ არსებულ წყობილებას. იცნობდენ მას 1874 წ. ე. წოდ. მოსკოვის წრეში, სადაც იგი თავდადებით მუშაობდა და რომლისაც გვერდში უდგენ ივ. ჯაბადარი, ჩიკვაიძე, გამყრელიძე, ციციშვილი და რამდენიმე რუსი რევოლიუციონერი. იცნობდენ მას, როგორც „50-ის პროცესის“ ერთ-ერთ რევოლიუციონერს, რომელმაც სამსჯავროს წინაშე წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა, შესანიშნავი თავისი საპროგრამო შინაარსით და მედგარი თავისი რევოლიუციონური ტემპერამენტით. იცნობდენ მას, როგორც კატორღელს, ყოველგვარი უფლება აყრილს, ბორის გლების ციხეებში გამომწყვდეულს. იცნობდენ მას საქართველოში, როგორც დიდ მოღვაწეს, დიდ მებრძოლს, დიდ მამულიშვილსა და რევოლიუციონერს.

და ასეთი ადამიანი, რაღაც ბედის ირონიით მაშინ ეთხოვებოდა წუთისოფელს, როდესაც რევოლიუციის ძლევამოსილება ანადგურებდა ძველ წყობილებას. იგი მაშინ გვშორდებოდა, როდესაც ყველაზედ მეტად საჭირო იყო, მაშინ წყდებოდა მისი მაჯის ცემა, როდესაც გამოცდილი მებრძოლის მედგარი ხმა წინ უნდა გაძღოლოდა მშრომელ ხალხს; მაშინ სდუმდებოდა მისი ბაგე, როდესაც იგი „ხალხის გამარჯვებას და სოციალური რევოლიუციის ძლევამოსილებას“ ყიჟინით უნდა შეგებებოდა.

ჭეშმარიტად უნდა გვეტირა დიდი კატორღელის მიცვალება რევოლიუციის გარიჟრაჟზედ... უნდა გვეტირა რევოლიუციის დიდი დანაკლისი...

არა გვაქვს პრეტენზია, სახელდახელოდ დაწერილ საგაზეთო წერილში, გამოვკვეთოთ გიორგი ზდანოვიჩის პორტრეტია კონტურები. მთავარ შტრიხებშიაც ძნელია მისი მოცემა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ გიორგი ჯერ იყო მებრძოლი და შემდეგ მოაზროვნე, მწერალი, პოლიტიკოსი. „...**ესროლეთ, დახოცეთ, იბრძოლეთ მოახდინეთ აჯანყება**“,—აი გიორგის ლოზუნგი, აი გიორგის მთავარი სამოღვაწეო არენა, შემოქმედების და მუშაობის იდეფიქსი.

გიორგის ახასიათებდა ის, რაც საჭიროა თავგანწირულ რევოლიუციონური ბრძოლისათვის. ეს იყო რწმენა, რწმენა და რწმენა გამარჯვებისა. დიდი მისია არავის არ შეუსრულებია დიდი რწ[...] გარეშე. ჩამოაშორეთ იაკობინელებს ფანატ[...] რწმენა თავისი მიზნისა და ველარ ამოიცნობთ [...] ბატონობის მიზეზს, მოაცილეთ რუსეთის კომ[...] რებს იდეალისტური გატაცება და ამოუცნობი [...] ჩება მათი გამარჯვება.

გიორგი ამ დიდ პიროვნებათა რიგში [...] თავსებელი ადამიანია. მას **„ღრმად სწამდა ხა[...] გამარჯვება“**, ამიტომ იყო, რომ მას არას[...] უსუსტდებოდა რევოლიუციონური პათოსი. [...] წამდგარი ცარიზმის სამსჯავროს წინაშე, რომე[...] სამართლის ნაცვლად უსამართლობა ჰქონდა [...] მიანთა მოქმედების საზომად. იგი იდგა არა ბ[...] დებულის მოკრძალებით, არამედ უდიდესი ბ[...] მდებელის მრისხანებით.

**„ბატონებო,—ასე დაიწყო გიორგიმ** თა[...] **სიტყვა—თქვენ მოისმინეთ ბრალდება, მოისმ[...] დაცვაც. ეხლა მოუსმინეთ ერთ იმათგანს, რ[...] ლიც ბრალმდებელთა აზრით უნდა გაჰკიც[...] ხოლო დამცველთა აზრით კი უნდა შეიბრალ[...] შებრალება! მე არ ვიცი რომელიმე ჩვენთა[...] სჭირდება ვისიმე შებრალება თუ არა, ხოლო შემეხება მე, გაკიცხვას უფრო დავთანხმდ[...] ვიდრე შებრალებას. არ მინდა შებრალება შეურაცმყოფელია“.**

# მოგონება.

**1905-ში იარაღის შემოტანის შესახებ.**

„ტრიბუნა“-ს №№ 520—522 ამხ. ბ. ფარცვანიას მიერ მოთავსებულმა, ძვირფასი ამხანაგის გიორგი სიხარულიძის ბიოგრაფიამ ერთი მხრით უზომო მწუხარება და ბოლმა მაგრძნობინა იმის გამო, რომ გიორგი უკვე ტრაგიკულად დაიღუპა, იგი ვერაგულად მოუკლავთ ნაძირალებს, მაგრამ მეორე მხრით გემი „სირიუსი“-თ ევროპიდან ფოთში, იარაღის გადმოზიდვის დაწვრილებით აღწერამ მომაგონა 1905 წელი და ჩვენი პარტიისა და სოც.-დ-ებს შორის ატეხილი ბრძოლა, რომელიც ხშირად სამკვდრო-სასიცოცხლო მომენტამდი აღწევდა.

ამხ. ბ. ფარცვანიას დაწვრილებით აქვს აწერილი იარაღის გადმოზიდვა ევროპიდან ვიდრე გემი „სირიუსი“ ფოთის მიდამოებს მოუახლოვდა, ხოლო აქაური ამბავი ძალიან შემოკლებით და გაკვრით არის მოთხრობილი. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ამხ. ბ. ფარცვანიას აქვს ცნობები იარაღის შვეიცარიიდან ფოთის მიდამოებამდე მოსვლის შესახებ და შემდეგი ცნობები კი არა აქვს.

ამიტომ მე, როგორც ერთი მაშინდელი მომქმედი პირთაგანი, მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს შემდეგი დაუმატო იარაღის გადმოზიდვის ისტორიას.

1905-ს წლის ზაფხულში თ. სახოკიამ, (მაშინ თედო სახოკია ს.-ფედერალისტი იყო) გადმომცა მე როგორც ს.-ფედერალისტების ფოთის ორგანიზაციის წარმომადგენელს (კომიტეთის წევრს), რომ მოკლე დროში ევროპიდან საქართველოში შემოზიდული იქნება გემით იარაღი: 8500 ცალი თოფი და 25 მილიონი პატრონა. ამ იარაღს უგზავნის ჩვენს პარტიას გიორგი დეკანოზიშვილი და საჭიროა მოვემზადოთ, გემიდან გადმოვტვირთოთ, ნაპირზე გამოვიტანოთ და საჭიროების დროს ხალხი შევაიარაღოთო.

ეს ამბავი ერთი მხრით ძალიან გამიხარდა, იმიტომ რომ იმ დროს იარაღი ჩვენთვის ძვირფასი იყო, მაგრამ მეორე მხრით ვშიშობდი, ვინაიდან ასეთი აქტის სისრულეში მოყვანას დიდი ორგანიზაცია სჭირდებოდა, რაც მაშინ ჩვენ არ გაგვაჩნდა და ამავე დროს ს.-დემოკრატები გვებრძოდენ და მიმართავდენ ისეთ დემაგოგიას, რომ ფედერალისტების პარტია მემამულეების, მდიდრების და სამღვდელოების პარტია არისო, მუშების და გლეხების მოსისხლე მტერიაო და სხ..

ყველა ეს 1905-ში, მუშებსა და გლეხებს სჯეროდათ და ჩვენ მართლა მტრებად გვნათლავდენ. ამას ხელს უწყობდა ტ მუშებს და გლეხებს არწმუნებდა სინამდვილეში ის გარემოება, რომ სოფლებში მემამულების და ქალაქში ვაჭრების დიდი ნაწილი იძახდა: მე ფედერალისტი ვარო და ეს გარემოება საკმარისი იყო, რომ ჩვენი პარტიის მუშას და გლეხს მიეღო თავისი მოპირდაპირეთ.

ასეთ პირობებში ნაადრევი იყო ისეთი დიდი პარტია იარაღის მიღება და შენახვა, როგორიც იყო 8500 თოფი და ხუთი მილიონი პატრონა.

ამიტომ ჩემი აზრი იყო თუ, მოსახერხებელი იქნებოდა, რამდენიმე ხნით მაინც გადადებულიყო იარაღის გადმოზიდვა, სანამ ჩვენ ცოტათ თუ ბევრათ მოვეწყობოდით.

მაგრამ როგორც გამოირკვა, ეს კითხვა უკვე დაესვათ გიორგი დეკანოზიშვილისთვის და გიორგის გადაჭრილი უარი შემოეთვალა. იარაღის შეჩერება არ შეიძლება, აუცილებლად ვგზავნი და თუ თქვენ ვერ ამოტვირთავთ, იმ შემთხვევაში იარაღს გადავაყრევინებ ზღვაში საქართველოს სანაპიროების მახლობლადაო.

მეტი გზა არ იყო, უნდა შევდგომოდით სამზადისს.

მე კომიტეტისგან მქონდა დავალებული სამი სანდალის დაქირავება, რომელთაგანი ორი ფოთის მახლობლად „ნაბადა“-ში უნდა გადმოგვეტვირთა და ერთიც აფხაზეთში.

როგორც მახსოვს, სეკტემბრის თვეში მივიღეთ შემდეგი პაროლი: თითოეულ სანდალს უნდა ქონოდა დღისით სამი ბაირაღი წითელი, თეთრი და ლურჯი, მათგანი წითელი შვაზე, თეთრი და ლურჯი ერთი დაბლა და ერთი ზევით მწკრივათ დაკიდებული, ღამით კი ამნაირივე ფერის ფარნებით. ასეთივე პაროლით იქნებოდა ის გემები, რომელსაც მოქონდა იარაღი. სანდლებს უნდა აეღოთ შემდეგი მიმართულება: უნდა დადგმოდენ გზას ისე, რომ სანდლის ბოლო ყოფილიყო ფოთის მაიაკის პირდაპირ და ცხვირი დასავლეთისაკენ, ამ მიმართულებით დაახლოებით 30 ვერს რომ გაივლიდენ იქ დაინახავდენ გემს, რომელსაც იცნობდენ ზემოაღნიშნული პაროლით. სანდლები უნდა დამექირავებინა და უნდა მეცადა ცნობისთვის, რომელსაც მივიღებდი დეპეშით და მაშინ სანდლები უნდა გასულიყვნენ ზღვაზე.

მეორე სამი სანდალი უნდა დაექირავებინა ბათომის ორგანიზაციას, რომლებიც გაიტანდენ იარაღს გურიისა და ბათომ-ქობულეთის სანაპიროებზე. ეს ექვსი სანდალი თამამად აიღებდა 8500 თოფს და ხუთ მილიონ პატრონას.

ფოთის კომიტეტმა ამხ. ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით შეიმუშავა გამოტვირთვის გეგმა, რომელიც დაახლოებით შემდეგი იყო: ორი სანდალი იარაღი უნდა გადმოვტვირთოთ „ნაბადაში“, დავმალოთ ნაპირიდან მოშორებით ტყეში სილაში და შემდეგ იქედან გავანაწილოთ. ამისათვის საჭირო მუშაობის მოწყობა მევალებოდა მე. მესამე სანდლის გადატვირთვა აფხაზეთში უნდა მოეწყო თედო სახოკიას.

ზ. ხუბულავას, ი. აბსავას თ. თირქიას და ე. შამათავას დახმარებით. დავიქირავე 3 სანდალი, რომლის „რეიზები“ (მესაჭე) იყვნენ: მ. ბუკია, ჯ. ჯიქია და ი. ფაჩულია. სანდლები მოემზადნენ მოიმარაგეს ზემოთ ნახსენები ნიშნები, საიმედო მეზღვაურები უცდიდნენ განკარგულებას. თვეზე მეტი გავიდა და განკარგულება არ სჩანდა. მესანდლეები ამბობდენ: ალბად არაფერი იქნება, მოგვეცით ნება რომ წავიდეთ სამუშაოზედ. ამაზე არ თანხმდებოდა ჩვენი მთავარი და დასავლეთ საქართველოს კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეს, **გიორგი ზდანოვიჩს** ეკუთნოდა ამ აქტის ინიციატივა და რომელიც გვითვლიდა მზათ იყავით, იარაღი აუცილებლად მოვაო.

1905 წ. ოქტომბრის თვე იყო, რიცხვი არ მახსოვს, გ ზდანოვიჩის საიდუმლო დეპეშა მივიღე ბათუმიდან. მწერს დაუყონებლივ გაგზავნე სანდლებიო.

იმ წამსვე მოვძებნე მე—სანდლები, ესენი მზათ არიან, დარი არ არის კარგი.—ზღვა ფუჭდება, მიუხედავათ იმისა მესანდლეები მოემზადნენ სანოვაგით და მიდიან, სანდლებს უნდა გაყვენ თან ამხ. იასონ ჩაჩავა და ექვთიმე შამათავა. ამ დროს მატარებლით ჩამოვიდნენ სწორედ ის თუში და ქართლელი, რომლებზედაც ლაპარაკია ამხ. ბ. ფარცვანიას წერილში, ამათაც სურვილი განაცხადეს გაყოლოდათ სანდლებს; ყველანი ნავთ-სადგურში არიან თავმოყრილი სანდლებთან, ნაშუადღევია, ღრუბლიანი დარია. ზღვა უკვე იწყებს ღელვას, სანდლები გადიან ზემო ნახსენები ამხანაგების თანხლებით. საღამოს ამ საგანზე იმართება კომიტეტის სხდომა, რომელსაც ესწრებიან: ი. ფანცხავა, ი. ჩაჩავა, მ. ჩხენკელი, ი. თურქია, მე, ლ. მგელაძე, ა. ხოჭოლავა და სხვ.

მოხსენების მოსმენის შემდეგ კომიტეტი იწონებს გადადგმულ ნაბიჯს და ადასტურებს უკვე შემუშავებულ გეგმას იარაღის გადმოტვირთვის შესახებ.

გადმოტვირთვა უნდა მოვახდინოთ ფოთიდან 4—5 ვერსტის მოშორებით ეგრედ წოდებულ ნაბადი წყალის გამოღმა სანაპიროებზე, ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ: ი. აბსავამ, პ. ფალავამ, გრ. ლომაიამ, ვ. ლოლუამ, დ. განგიამ, ზ. ხუბულავამ, ს. ჩიჩუამ, ზ. ხუბუამ, ი. ლოლუამ, ა. ბოკერიამ, ე. ფრუიძემ, თ. თირქიამ, ნ. ჟღენტმა და სხვ.

სანდლები ტვირთვით, რომ დაბრუნდებიან პატარა ნავით, რომელიც თან ახლავთ უნდა გამოგზავნონ შიკრიკი და გვაცნობონ, რომ მოდიან და მაშინ ჩვენ უნდა წავიდეთ დანიშნულ ადგილზე. ყოველ დღე ნავთსადგურში ვარ, ვზივარ სამხრეთ დასავლეთის ქანდაკზე და უყურებ ზღვის სივრცეს, არაფერი სჩანს. მეორე დღის საღამოს გამოჩნდა ერთი სანდალი ფოთის ნავთსადგურისაკენ მომავალი. მოახლოებისას გავიგე, რომ ეს სანდალი ბათომის ორგანიზაციის მიერ ყოფილა გაგზავნილი, შიგ აღმოჩნდა ე. ჯაიანი, რომელმაც მიცნო და დამიძახა; წუხელის მთელი ღამე და დღეს ვიარეთ ზღვაზე, ტრაპიზონის აქეთ არაფერი დაგვიტოვ[...] მაგრამ გემი არ არის, ეხლა თავი გავანებეთ ანაკლიაში მივდივართ სამუშაოდო. ამან საგ[...] ბელში ჩამაგდო, იმედი მომესპო. ჯაიანს ვთ[...] შემოდით ნავთსადგურში თქო, მაგრამ რეიზი [...] დათანხმდა და წავიდა ანაკლიის მიმართულებ[...] ეხლა ჩვენ ყოველ საღამოს ვიკრიბებით და ვე[...] დებით სანდლებს. ზღვა უფრო ღელავს, ხან აღ[...] სავლეთის ქარია და ხან დასავლეთის. სამი [...] გადის, სანდლები არა სჩანან. მესამე დღის ს[...] მოა, იქნება 8—9 საათი, ბიუროში კრება გ[...] ყველას აინტერესებს სანდლების ბედი. ამ დ[...] შემოდის ამხ. ე. შამათავა და ჩუმათ გადმომ[...] რომ მ. ბუკიას სანდალი, დატვირთული, ნავთ[...] გურში შემოვიყვანეთ, რადგან ზღვა ცუდია და ბადაში, ღია ნაპირას, ყოვლად შეუძლებელია შაობა ძლიერი ტალღების გამო, ამიტომ „რე[...] დაჟინებით მოითხოვს სანდალი გაუნთავისუფ[...] ნავთსადგურში ამაღამვე, წინააღმდეგ შემთხვე[...] იძულებული ვიქნები ტვირთი ზღვაში გადაუშვ[...] ამხ. შამათავას დანახვით ყველამ მიხვდა, რომ [...] დალი დაბრუნებულა და ეს მთელმა კრებამ გა[...] ველაპარაკეთ თვით „რეიზსაც“, ვთხოვეთ ზღვაზე გავიდეს და იქ იცადოს, სანამ ისეთი დ[...] დადგებოდა, როდესაც შესაძლებელი იქნება ს[...] ლის გამოტვირთვა ნაბადაში.

მესანდლე გადაჭრილ უარს აცხადებს, ის [...] ლიანი შეშინებულია, თუ იარაღით დატვირთუ[...] სანდალი დაიჭირეს, მეც დავიკარგები და სან[...] ლიც, აუცილებლად გამანთავისუფლეთ ამეღ[...] თორემ იარაღს ზღვაში გადავყრიო. სასწრაფ[...] მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ დავცალოთ ს[...] დალი ნავთსადგურში, შემდეგ ნავთსადგური[...] იარაღი გადავზიდოთ ნაბადას ტყეში და იქ დ[...] მალოთ; ამის შესრულება მე დამავალა კომიტე[...] ჩემთან ერთად არიან: პ. ფალავა, ი. აფსავა, ე. [...] მათავა,. ზ. ხუბულავა, ლ. მელაძე, ს. ჩიჩუა, ი. [...] გინეიშვილი, ი. ლოლუა, ა. ბოკერია, ლ. განგია [...] სხვები, სულ 25 კაცამდი; მივედით ნავთსადგურ[...] სანდალი დგას ჩრდილოეთის სანდაკის თავთან, [...] დაც ნავთსადგურის შემოსავალია, სანდლის მახლ[...] ლათ არავითარი თავისუფალი საწყობი არ ა[...] სანდლიდან 200—300 საჟენი მოშორებით, ელ[...] ტორის მახლობლად, არის ერთი ცარიელი საწ[...] ბი, გადავწყვიტეთ ამ საწყობში დავაწყოთ იარ[...] დროებით, სანამ ნაბადაში წავიღებთ, საჭიროა [...] დალი ამ საწყობთან მოვაყენოთ, მესანდლე [...] ბედავს სანდლის გადმოყვანას, აქ რომ მოვიყვ[...] შემიტყობენ და დამიჭერენო, იძულებული ვხ[...] ბით სანდალი ამოვტვირთოთ იქ, სადაც დგას [...] გადმოვზიდოთ 200—300 საჟენის მანძილზე და [...] ვაწყოთ საწყობში. ამ სამუშაოსთვის არ კმარ[...] კაცი, რომელიც ჩვენ გვყავს, საჭიროა კიდევ [...] 40 კაცი, დაუძახე გადამტვირთველ მუშათა არ[...]

მან არ იცოდა შებრალება ჯალათების, როგორც ჭეშმარიტმა რევოლიუციონერმა და არც ის ითხოვდა შებრალებას ჯალათებისაგან, როგორც ამაყი მებრძოლი.

უნდა გამოვტყდეთ, ჩვენს სისუსტეს, ჩვენს უმოქმედობას, ჩვენს სივაგლახეს უნდა მიეწეროს, რომ დიდი კატორღელის საფლავი დღეს ობლად არის მიტოვებული. იგი ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა შორის მაღლობიდან დასცქერის მშრომელთა საქართველოს მეორე დედა ქალაქს და თითქოს საყვედურს ეუბნება მას, რომ გამარჯვებულებმა დაივიწყეს ის, რომელიც ბარიკადებზე ბრძოლაში და კატორღისკენ მოგზაურობისას მათთან იყო.

გიორგი ზდანოვიჩები იშვიათია ყოველი ერისათვის და ჩვენთვისაც. ამ იშვიათი რევოლიუციონერისა და მამულიშვილის უკვდავი ძეგლი უნდა იყოს აგებული არა მარტო ქართველი ხალხის გულსა და სულში, არამედ იქაც, სადაც ჯერ არს მებრძოლთა ძეგლების გალერიისა.

ჩვენი დღევანდელი მცირე მოგონება მხოლოდ დაობლებული საფლავის გახსენებაა. შესაფერი პატივით გიორგი ზდანოვიჩის სახელის აღნიშვნა შემდეგში, ჩვენი წმინდა მოვალეობაა.

სერ. ამაღლობელი.

# ობოლი საფლავი

უქმირიონო ბორცვი დასევდიანებულია...

ძველი ციხე, უტყვი, მრავალი ამბის მოწამე დადუმებულია...

ბაგრატის ტაძრის ხავსიანი ნანგრევები ებგურად უდგას ძველი კოლხიდის სატახტო ქალაქ ქუთაისს; ამაყად გადასცქერის მდ. ფაზისს; ისმენს მის შხუილს, ისმენს იმის საყვედურებს...

ნანგრევების ეზოში პატარა პანთეონი გამწვანებულ-გალამაზებულია...

დასავლეთის მხრით სდგას ძველი, ხავსით მოსილი, ლეღვის ხე; ჩაჭედილია ქვითკირში...

უძლებს ტანჯვას...

არ კვდება, ჯერ ცოცხალია და ლამაზად გადმოუშვერია ფოთლებიანი ტოტები. აი ამ ლეღვის ტოტებს ქვეშ არის ობოლი საფლავი, ხის ძველი მოაჯირით შემოფარგლული...

არც ძეგლი, არც წარწერა...

საფლავი შემოსილია მწვანე ბალახით, რომელიც ანუგეშებს მას...

ვისია ეს საფლავი!?..

ვინ განისვენებს აქ ობლად!?

— განისვენებს რუსეთის მე-70 წლების მოძრაობის პიონერი, რევოლიუციის პირველი მოციქული და საქართველოს საუკეთესო შვილი დიდი კატორღელი **გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი)**...

დიაღ! 1875 წელში სარევოლიუციო პროპაგანდის ბელადი, რუსეთში იყო ზდანოვიჩი, 14 წლის კატორღის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და მაიაშვილი მოექცა ქართველ მებრძოლთა თავში. ის გახდა საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ხელმძღვანელი, ეროვნულ-სოციალისტური იდეებით აღჭურვილი და დროშას დააწერა:

**„ხალხისა და ერის თავისუფლება“.**

გიორგი შეჰხაროდა მთელი ქვეყნის მუშათა ძმობა ერთობას; იყო ერის თავისუფლების მოტრფიალე, ამავე დროს საუკეთესო ინტერნაციონალისტი; მას უყვარდა მშრომელი ხალხი.

გიორგი მტერი ძველი რუსეთის რეჟიმისა, 40 წლის განმავლობაში მოუწოდებდა მშრომელ ხალხს მონარქიზმის დასამხობად...

მოესწრო ამას; მოესწრო ჩვენი ცხოვრების განთიადს, მაგრამ აქტიური მონაწილეობა ველარ მიიღო და როდესაც ენა წაერთვა, თავის საოცნებო დიდ ბედნიერებას მუნჯად, ცრემლებით შეეგება...

და ვინ იცის, რამდენი მწარე გრძნობა ჩასახა ამ ცრემლებში!..

აგვისტოს 13-ს, ძველი სტილით 31 ივლისს, შესრულდა ექვსი წელიწადი, რაც ეს რაინდი განისვენებს ამ ობოლ საფლავში...

იქვე, ორიოდე საჟენის დაშორებით ყავს მეზობლად ტკბილი მოხუცი, ძველი მოღვაწე, ყოფილი ცოცხალი მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძე, რომლის საფლავი ძლივსღა აჩნია და უფრო ობლად გამოიყურება...

მივიწყებულია ეს საფლავები...

თავის ბიბლიოთეკები ორივემ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა...

დღეს სჭირია ძეგლების დადგმა, მაგრამ, ვინ ფიქრობს არ ვიცით...

ამ საფლავებს ყურს უგდებს და ასუფთავებს მხოლოდ დარაჯი გრიგოლა ნამწირალი და შელამებისას თავისი ბოხი და უხეში ხმით უგალობებს ნანგრევებიდან „სულთათანას“...

ლადო ბზვანელი.

# პროვინციაში

### კახეთი

**კახეთის მეურნეობა.** კახეთი საქართველოს თვალია, არა მარტო თავის ნაზი ბუნებით და თვალწარმტაცი სანახაობით, არამედ ნიადაგის და ჰავის სიუხვე-სიმდიდრით

რა მცენარე გინდათ რომ აქ არა ხარობს, სამკურნალო ბალახიდან დაწყებული, მეურნეობის უმაღლეს კულტურის ვაზამდე დათავებული.

რაც შეეხება კერძოდ მევენახეობას, კახეთი ომ ვაზის სამშობლოა.

სხვა, რომ თავი დავანებოთ მთელ დედამიწის ზურგზე კახური წითელი ღვინისთანა თავის თვისებით არსად მოდის (პროფ. მელიქიშვილის და სხვათა გამოკვლევა).

ნიადაგი მაღალ კულტურის მცენარეს იძლევა. მოსავალი თავის სიუხვით-კი, შრომის ფასს არ აზღაურებს. ამის მიზეზს ცალკე შევეხებით.

აქ არის აბრეშუმის ჭიის თესლი, ფუტკარი და სხვა, მაგრამ ყველაფერი პრიმიტიულია, ყველაფერი პირველყოფის ხანაში იმყოფება, გლეხი კაცი ბევრს შრომობს და ნაფასურს ვერ იღებს, ისევ ის ძველებური გუთანი, ისევ ისე 7—8 უღელ ხარკამეჩით შებმული, ისევ ისეთი თესვა-მომკა გალეწვა, ისევ ისეთი სემეურნეო იარაღები.

ამის შემდეგ გასაკვირველი ხღარაა, რომ ასეთი ბუნების სიმდიდრით შემკულ მხარის მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდეს და დღეს იგი შიშველ-ტიტველი და ნახევრად მშიერ მწყურვალი იმყოფებოდეს.

ეს არც საკვირველია. მთელი 117 წელიწადი მეფის მთავრობას არაფერი მიუცია კახეთისათვის. მეურნეობის გაუმჯობესობაზედ ვინ რას იფიქრებდა. სწავლა-განათლებას საერთოთ ხოლო აგრონომიულს კერძოდ ვინ აღირსებდა კახეთს, როცა, სოფლის სკოლებსაც-კი არ იმეტებდნენ კახეთისათვის.

ამნაირად, კახელი მხვნელ-მთესველი მიჩერებული იყო ერთ და იგივე სახნავ მიწაზე თავის ძველებური გუთნით და 7—8 უღლიან ხარ-კამეჩით, ამ მიწას ნაყოფიერება გამოეცადა, მოღლა და რასაკვირველია მოსავალსაც აღარ იძლევა და კახეთის წინ წამოიჭრა მიწის სიმცირის საკითხი, თუმცა ჩვენ რომ ცოდნა გვქონდეს და კულტურულად ვიცოდეთ მიწის დამუშავება, იმდენი უნდა მოვიყვანოთ, რომ არა თუ ჩვენ ვიკმაროთ, გასასყიდიც დაგვ ჩეს, მაგრამ ეხლა კახელ გლეხს სახნავი მიწის ძებნა გაუხდა საჭირო.

რაც შეეხება ვენახებს ეს ხომ გადაშენების გზაზეა დამდგარი. ფილოქსერა ყველგან მოდებულია და აჩქარებული ტემპით ანადგურებს დიდ ზვრებს, თუ რაიმე ზომები არ იქნება მიღებული, მალე კახეთი გამოეთხოვება ვაზს.

აი მოკლედ სურათი დღეს კახეთის მეურნეობის მდგომარეობისა, რომლის ცალ-ცალკე დარგს შემდეგ შევეხებით.

ახალი კახელი.

— —

**ახალი-აბაშა.** წრეულს აბრეშუმის პარკის მოსავალი აბაშის რაიონში კარგი იყო. პარკის მიღებაც წესიერად დამთავრდა, მაგრამ საუბედუროდ ჯერ კიდევ ყველას არ მიუღია კუთვნილი ფართალი თუ სხვა რამე საფასური. ისედაც ეკონომიურად უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ მუშა ხალხს, სანამდი მიიღებდეს კუთვნილ საფასურს ოთხ-ხუთ ჯერ უხდება 5 6 ვერსის მანძილიდან სიარული და სანამ მიიღებდეს, მანამდი ერთი ფეხსაცმელი უნდება გზაში. საერთოდ გლეხები უკმაყოფილონი არიან და ასეთ საუბარს ხშირად გაიგონებთ: „უმჯობესი არ იქნება, რომ ერთხელ დაგვიბარონ და მით მოვრჩეთ ამდენ ხეტიალს და დღეების გაცდენას“ო.

ხალხისგან აგრეთვე ხშირად გაიგებთ, რომ რაც იაფ ფასიანი იყო გათავებულა და ჩვენ რად გვინდა ძვირფასიანი ან რას შემოსავს ჩვენ ცოლშვილსო. უნდა მოგახსენოდ სიმართლე, რომ ხალხს გული უცრუვდება და თუ რამე არ იზრუნვეს ხალხის დასაკმაყოფილებლად, მომავალში ხალხი უფრო გულ-ცივად მოეკიდება აბრეშუმის ჭიის მოშენებას, დადის აგრეთვე ხმები, ვითომც ბოროტებას ქონოდეს ადგილი, რის გამოც დათხოვნილია ერთი მოხელე, არ ვიცით თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს. საჭიროა მეტი ყურადღება.

დ. აბაშაში დაწყებულია თეატრის აშენება; უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ მუშაობა დამთავრდება მოკლე ხანში. თეატრს აბაშის საზოგადოებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება, ვინაიდან აბაშის საზოგადოება ძლიერ დაშორებულია ხელოვნებას და ლიტერატურას.

აბაშის საზოგადოებას აქვს საკუთარი მუსიკის ინსტრუმენტები, რომელიც ამ ორი წლის წინად შესანიშნავი იყო ყაპლმეისტერ საშა X. მეთაურობით, მაგრამ ამ ბოლო დროს უნდა აღინიშნოს სიმართლე, რომ აბაშის მუსიკა არასფერს ჰგავს და თუ დაუკრეს ხანდისხან, გეგონებათ ბავშვების სათამაშოაო. რაშია საქმე? ნუ თუ არ შეიძლება ამ იარაღების უკეთ გამოყენება?.. საჭიროა ადგილობრივ აღმასკომმა, რომლის განკარგულებაშ ა იმყოფება ეს ინსტრუმენტები მიაქციოს მას მეტი ყურადღება.

პლ. ჯვარიშვილი.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა № 987; გაცემული სახ. უნივ. კანცელარიიდან. გთხოვთ ჩაითვალოს გაუქმებულად.
ხტ. ვ. ხიმონის ძე წერეთელი.

ლის წევრს ლ. კალანდაძეს და მივეცი წინადადება მოგვცეს 40 კაცი, ის სიამოვნებით თანხმდება და მოყავს 40 მუშა. ღამის ათი საათია, გვინდა შეუდგეთ მუშაობას, ვინაიდან თუ მთელი მუშაობა ამეღამ არ მოთავდა, ე. ი. თუ ამეღამ ვერ მოვახერხეთ, როგორც ამოცლა აგრეთვე ნაბადაში გატანა და სილაში ჩათხრა, საქმე დაღუპულია. ნავთსადგურში იარაღის დატოვება არ შეუძლია, მას წაგვართმევს ჟანდარმები. ნავთსადგურს დარაჯობდენ საბაჟოს დარაჯები, ე. წ. „დოსმორშჩიკები“, საჭიროა ესენი სანდლის დაცლის დროს დავატყვევოთ, რომ არ აცნობონ მთავრობას. ამ დარაჯებში აღმოჩნდა ერთი ქართველი, გვარათ რამიშვილი, რომელსაც გადავეცი რაშიც იყო საქმე. რამიშვილი სიამოვნებით შეხვთა საქმეს და აღმითქვა დახმარება, მხოლოდ მირჩია მოვიცადოთ 12 საათამდე. მაშინ მოხდება დარაჯების გამოცვლა და ახლები რომ მოვლენ მაშინ ჩვენც და ახალ მოსულებიც დაგვატყვევეთო, თორემ ეხლა მუშაობა რომ დაიწყოთ ორ საათში ვერ დაამთავრებთ, 12 საათზე ახლები რომ მოვლენ შესაძლებელია უკან დაბრუნდნენ და მთავრობას აცნობონო. ჩვენ ეს რჩევა მოგვეწონა და შევჩერდით. 12 საათზე, როდესაც ახალი მორიგე დარაჯები მოვიდეხ, ყველას ძველსაც და ახალსაც იარაღი ავყარეთ (ხანჯლებით იყვნენ შეიარაღებული) და დავატყვევეთ მუშაობის დამთავრებამდე, რამიშვილი და რამდენიმე კაცი, რომელთაც თანაგრძნობა გამოუცხადეს, უკვე გვეხმარებიან მუშაობაში. გავხსენით რამოდენიმე ყუთი. ამოვიღეთ 100-მდე თოფი და შევაიარაღეთ მუშები, რომლებსაც ადრე მომარაგებული თოკებით გადავკიდეთ თითო თოფი საკმაო პატრონებით. დავიწყეთ მუშაობა, მუშების ერთი პარტია სცლის სანდალს, მეორე პარტიას გადმოაქვს საწყობში. ერთხანს მარჯვეთ მიდის მუშაობის საქმე, მაგრამ შემდეგ თანდათან ირკვევა, რომ საძნელოა ამ სამუშაოს შესრულება 60 კაცით. ამასთან უნდა აღვნიშნო, სამწუხაროდ, რომ მუშები გაიტაცა თოფის სიყვარულმა, ბევრმა მიატოვეს მუშაობა და თოფებს შინჯავენ, სდებენ პატრონას, შინჯავენ ჩახმახს, აგერ გაუარდა ერთს თოფი, ცოტა ხნის მერმე კიდე გავარდა და ასე გახშირდა სროლა, ამან რასაკვირველია ნიშანი მისცა ყაზახების ასეულს, რომელიც იდგა ფოთში.

დილის 4 საათია, სანდალი გაიცალა როგორც არის და კიდეც გავიდა ნავთსადგურიდან; მაგრამ იარაღი ნაწილი საწყობშია და ნაწილიც ნაპირზე, მუშების ნაწილმა მიატოვა მუშაობა და თოფებით წავიდა. ამ დროს ამბავი მოვიდა, რომ ქალაქში ჟანდარმები და ყაზახები ფეხზეა, მოდიან და თუ თავს არ უშველეთ დაგვესხმიანო. მოვილაპარაკეთ და ვინაიდან შეუძლებელად დავინახეთ მუშაობის გაგძელება, შევწყვიტეთ და გადავწყვიტეთ ნავთსადგურიდან წამოსვლა. ყველანი არ ვიყავით გამოსულნი, რომ ყაზახები კამანდირის, ნესმაშნის, მეთაურობით მიაჯირითებდნენ ცხენებს ნავთსადგურისაკენ. რადგანაც ნავთსადგურში, მისი ჩრდილოეთის სანაპიროს მხარეს სროლა იყო კანტი-კუნტათ, ყაზახებმა დაიკავეს ნავთსადგურის სამხრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილები და აქედან ასტეხეს სროლა. ეს მდგომარეობა გაგრძელდა ნაშვალამევის 5 საათიდან გათენებამდი. ლამით ფოთში შემოვიდა სამგზავრო გემი და ამ გემით ჩამოვიდა თ. სახოკია, მან დააპირა ქალაქში შევლა, მაგრამ უკვე შეკრული იყო გზები, დაწყებული იყო ჩხრეკა და დაპატიმრება. თედო და მე მოვედით კუნძულში არ. მხეიძის ბინამდე, მაგრამ ისევ გადავწყვიტეთ დაბრუნება გემთან; ესეც ძნელი დარჩა, ვინაიდან გზაშეკრული დაგვიხვდა, როგორც იყო თედომ მოახერხა გაძრომა და გემში ჩაჯდომა, თედო ისევე წავიდა. გათენდა თუ არა, ჩვენი გამოტვირთული იარაღს დაეპატრონენ ყაზახები და შემდეგ სანაპირო რაზმის უფროსი კრეჩეტოვი. კრეჩეტოვმა თავის რაზმელების ჩანხლებით მთელ ქალაქს, განსაკუთრებით მუშათა უბნებს სასტიკი ჩხრეკა დაარტყა, თითქმის ყოველ ეზოში აღმოჩდა თოფები, აუარებელი ხალხი დაატუსაღეს და აუარებელი იარაღი აღმოაჩინეს. ამ დროს ილია ფაჩულიას (ანძა გადატეხილი) სანდლიდან გადმომჯდარი ამხ. იასონ ჩაჩავა, გ. სიხარულიძე და სხვები მოვიდნენ, გადმოგვცეს, რომ სანდალს ანძა გადატეხილი აქვს, ფოთის მიდამოში იმყოფება უიალქნოთ და შველას ითხოვსო.

გემი „სირიუში“ დარჩენილი იარაღის შესახებ იასონ ჩაჩავამ შემდეგი გადმოგვცა: რადგან ბათომიდან სანდლები ვერ მივიდა გემთან, „სირიუსის“ კაპიტანმა ჩვენი სამი სახდლის დატვირთვის შემდეგ, თავისი მეზღვაურთაგან და ჩვენებიდან შეადგინა საექსპერტო კომისია, რომელშიაც მონაწილეობდა თვით იასონ ჩაჩავაც, ამ კომისიამ შეამოწმა, რამდენი ქონდა გემს ნახშირი და სანოვაგე, აქედან კომისიამ გამოიანგარიშა, რომ გემს შეუძლია მოიცადოს მხოლოდ 4 დღე, მეტი რომ მოიცადოს ამის ნებას არ აძლევს ნახშირისა და სანოვაგის მარაგი. ამის შემდეგ კაპიტანს გამოუცხადებია ჩაჩავასთვის: 4 დღე გიცდით და თუ ამ დროს განმავლობაში არ წაიღებთ, იარაღს გადავყრი და წავალო. ამ 4 დღიდან ორი დღე უკვე გასული იყო სანამ ი. ჩაჩავა გამოვიდოდა, დარჩენილი იყო ორი დღე, ამ ორი დღის განმავლობაში ისეთი ცუდი ზღვა იყო რომ სანდლების მუშაობა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა სანაპირო რაზმი, ჟანდარმები და ყაზახები ფეხზე იდგა და გააფთოერებული თვალყურს ადევნებდენ ყოველსავე მოძრაობას, განსაკუთრებით ზღვაზე. ამის გამო ვერ მოხერხდა იარაღის გამოტანა და „სირიუსმა“ ალბათ გადაყარა იარაღი და წავიდა. სულ მოქონდა „სირიუსს“ 8500 ფოთი, მათგანი 4500 ჩვენმა სანდლებმა წაიღეს და შიგ იყო დარჩენილი 4000-მდი.

სანდალი, რომლის მესაჭე იყო ილია ფაჩულია ბოლოს დატვირთულა და როდესაც წამოვიდა ატეხილა ძლიერი აღმოსავლეთის ქარი, სანდალს მოსტეხია ანძა და ზღვის მიმდინარეობას წაუღია ტრაპიზონის მიმართულებით: ამ სანდალში იყვნენ გიორგი სიხარულიძე და იასონ ჩაჩავა. გემი „სირიუსის“ კაპიტანს დაუნახავს, რომ სანდალს ანძა მოტეხა ქარმა და მიაქვს დასავლეთის მიმართულებით; გაკიდებია დაუჭირავს სანდალი გამოუბამს, მოუყვანია ფოთის ნავთსადგურის მახლობლად და გაუშვია ეს ყოფილა გამთენისას, „სირიუსი“ კი ისევ თავის ალაგას დაბრუნებულა.

იასონ ჩაჩავას გამოსვლისთანავე პატარა ნავით გავგზავნეთ ზღვაში ილია ფაჩულიას სანდალთან, რომელიც უკვე სჩანდა ფოთიდან: კ. ბუკია, ზ. ხუბულავა, ზ. ხუბუა და სხვები, შეუთვალეთ: ფოთში ისეთი პირობებია, რომ შეუძლებელია მათი შემოსვლა, ღია ნაპირზე ცუდი ზღვის გამო შეუძლებელია გამოტვირთვა, ამიტომ ეცადეთ ნიჩბების საშვალებით ყულევში წადით და იქ დაგახვედრებთ საკმაო ძალასა გადმოსატვირთავადაო; იმავე დროს ვ. ლოლუა გავგზავნეთ ყულევში ცხენით და იქ მყოფ ამხ. თომა თირქიას დავავალეთ მოეწყო სანდლის გამოტვირთვა. ამ დროს არც ხულიგან კრეჩეტოვს ეძინა, მან ბინოკლით შენიშნა ზღვაზე უალქნო დატვირთული სანდალი, იფიქრა უთუოდ ესეც იარაღით დატვირთულია და განიძრახა მისი დაჭერა.

ნავთსადგურში იდგა ბუნგე პალაშკოვსკის კატერი; მოინდომა ამის გამოყენება, ეძებს კატერის კომანდა, კომანდა დაიმალა; ძალით მოიყვანა კაპიტანი ანცევი და უბრძანა კატერის წაყვანა; წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებოდა. ანცევმა უთხრა დამხვრიტეთ და კატერს ვერ წავიყვანო. თქვენ რომ დამხვრიტავთ ხალხი დამასაფლავებს და ხალხის ღალატს რომ ჩავიდენ, დაუმარხ ავი დავრჩებიო.

ამ დროს კრეჩეტოვთან ცხადდება რუსეთის საზოგადოების გემი „პავანა“-ს კაპიტანის თანაშემწე (გვარი არ მახსოვს) და კისრულობს კატერის წაყვანას.

კრეჩეტოვი კატერით და შეიარაღებული რაზმით მიდის ზღვაში საღამოს, დაახლოვებით 5 საათზე. კატერი დაეწევა სანდალს, რომელიც ნიჩბებით მიყავთ და ყულევში აპირებს შესვლას, კრეჩეტოვი აპატიმრებს სანდალს 6—7 კაცით და მოყავს ფოთში; ღამის 8—9 საათზე ვტყობილობთ, რომ სანდალი შემოიყვანეს ნავთსადგურში.

გათენდა დილა თუ არა, გემი „პავანა“-ს კაპიტანის თანაშემწე ამაყათ დასეირნობს გემის ბოგირებზე, გემი იდგა ნავთსადგურის ჩრდილოეთის ხანდაკთან, კაპიტანის თანაშემწე, როგორც დამსახურებული მოელის ჯილდოს მეფის მთავრობისაგან.

ამ დროს მუშები გროვდებიან „პავანასთან“ სამუშაოდ, მოდის ცნობილი ტერორისტი, მუშა, მიგინეიშვილი, ესვრის თოფს ხანდაკიდან და კაპიტნის თანაშემწეც გადაეშვება ბოგირიდან. ატყდება ჩოჩქოლი და ამ დროს მიგინეიშვილი, მიიმალება.

„რევოლიუციონერებმა მოჰკლეს სანდლის დამჭერი კაპიტნის თანაშემწე“.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედვა მთელ ქალქს, ამან შიშის ზარი დასცა საერთოთ ჟანდარმებს და პოლიციას და განსაკუთრებით კი კრეჩეტოვს. კრეჩეტოვი შიშისაგან დაიბნა, სანდალზე დატუსაღებული მუშები პოლიციას გადასცა, თვითონ ტუსაღებისათვის მიეცა კონვერტი და უდარაჯოდ გამოეგზავნა პოლიციაში, სანამ პოლიციაში მივიდოდნენ ჩემთან მოვიდნენ, გადმომცეს პოლიციის მისამართით დაწერილი კონვერტი, გავხსენი, აღმოჩნდა კრეჩეტოვის შემდეგი მიმართვა: „გიგზავნით კონტრაბადთან დატუსაღებულ 6 კაცს, გთხოვთ იყოლიოთ ესენი თვალყურის ქვეშ და მოთხოვნის დროს წარადგინოთ სადაც ჯერ არსო“. ეს კონვერტი გაუგზავნეთ პოლიციას, რომელმაც მუშები ხელის მოწერით გამოუშვა. კრეჩეტოვმა სანდალი გადმოტვირთა, იარაღი ნავთსადგურში დააწყო უწინდელი იარაღთან ერთათ, ე. ი. სულ ორი სანდლის ტვირთი 3000-მდი თოფი და მისი პატრონა. ეს თოფი და ტყვია კრეჩეტოვმა გადასცა სამხედრო გემს, რომელიც სპეციალურად იმისთვის მოვიდა; სამხედრო გემის მატროსებმა დაიწყეს თოფების ჩუმად გაყიდვა, 3—5 მანეთად თითო. ბევრმა შეიძინა ამ გზით იარაღი.

ცარიელი სანდალი კრეჩეტოვმა გაუგზავნა საბაჟოს, უნდა თავიდან მოიშოროს, ეშინია ტერორისტების, მაგრამ საბაჟო არ ღებულობს სანდალს. კრეჩეტოვმა სანდალი რიონის ჩრდილოეთის ტოტში შემოიყვანა და იქ დააბა ხიდის ქვემოთ მარცხენა ნაპირთან. კოწია ჯიქიას სანდალი კი აფხაზეთში გადმოტვირთეს და შეინახეს.

ხალხის რევოლიუციონური მოძრაობა ძლიერდება, რკინის გზაზე და ფ.-ტელეგრაფზე გაფიცვებია. პოლიცია ჟანდარმები თანდათან გადადიან პასიურ მოქმედებაზე, ზოგი სულ მთლად მიიმალა, სახლიდან არ გამოდიან. ამ დროს გადმომცეს, რომ კრეჩეტოვი თანახმა არის სანდალი დაუბრუნოს პატრონსო. ვკადნიერდები და მივდივარ კრეჩეტოვთან და ვეუბნები: ეს სანდალი ჩემ ნათესავებს ეკუთვნის ღარიბი მუშა ხალხია და გთხოვთ დაუბრუნოთ თქო. კრეჩეტოვი ამბობს მე არაფერი მექნებოდა ამის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, კანონით სანდალი უნდა მიიღო ჩემგან საბაჟოს და მას კი შეეძლო პატრონისთვის გადაეცა, მაგრამ საბაჟო სანდალს არ ღებულობს, ამაზე მე საჩივარი გავგზავნე ბათომში, ამ დღეებში პასუხი მომივა და მაშინ გეტყვი პასუხსაო.

ამ ლაპარაკს მეორე ოთახიდან ყურს უგდებდა კრეჩეტოვის ცოლი, როდესაც წამოსვლა დავაპირე გამოვიდა ქალი, გამეცნო და ჩაიზე მიმიპატიჟა: ჩაიზე ვილაპარაკეთ ცოლ-ქმარმა და მე აქ

# განცხადება

## ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს დანიშნულია

# შეჯიბრება

იჯარით ასაღებათ ზაჰესისათვის **სამასალო საწყობის ასაგებ სამუშაოთა**, რომლებიც შესდგება:

1) **ეკლიანი მავთულის ღობე** ხუთ რიგათ ბოძებზე 1 საჟ. სიმაღლით საერთო მანძილით 45 გრძივი საჟენისა.

2) **მიწის ნაყარის პლატფორმა** 0,5 საჟ. სიმაღლით და 5 საჟ.×40 საჟ.

3) **ქვის კედლები—კირზე წყობით** პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოებით 16 კუბ. საჟ.

4) **ხის ფარდული ლითონის სახურავით** ნივნივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5×15 საჟ. სიმაღლე 1,4 საჟ.

5) **ხის შენობა** საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4 საჟ.×15 საჟ. და სიმაღლე 1,4 საჟ.

6) **დროებით საცხოვრებელი შენობა** ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით ხის იატაკით და ჭერით მთლიანად აგლესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმაში დაახლოვებით 50 კვ. საჟ. და სიმაღლით 1,7 საჟ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარადრის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირებმა, რომლებსაც სურს აილოს აღნიშნული სამუშაონი მთლიანად, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებულ ნიმუშის ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯიბრებისათვის; ამ რიცხვს გაიხსნება კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ კავკასიის ფულის ნიშნებით საგადასახადო ქვითარის შედგენის დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბირჟის მიერ გამოცხადებული.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდრად შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდრის შეტანისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყონებლივ დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აილო სამუშაო, რჩება ზაჰესკომის სალაროში და შევსებული იქნება 10 პროც. საიჯარო თანხისა, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროც. დაჭერით და დაუბრუნდება სავსებით სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობებისა და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე (ქ. ტფილისი ლ. დუმბაძეს ქუჩა სახლი № 3).

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი ინჟენერი **ბ. ჭიჭინაძე.**

№ 393 3—2

## ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

აუწყებს ყველა დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და სხვ., ვინც დაინტერესებულია შეშის გადაგზავნით ვაგონებით ამიერ-კავკასიის რკინის გზის ფარგლებში, რომ „წესები ხე-ტყის მარაგის მიღებისა გადასაგზავნად განსაზღვრულია სადგურებიდან გამგზავნთა შორის ვაგონების განაწილებით, რომელიც (წესები) გამოქვეყნებული იყო B П C-ს ოფიც. განყ. № 177-ით ა. წ. ივნისის 8-ის თარიღით—ამიერ-კავკ. რკ. გზებზედ შემოღებულ იქნება შეშის გადაზიდვის საქმეში ამა წლის ენკენისთვის პირველიდან 1924 წლის აპრილის პირველამდე. თათბირი გამგზავნთა მონაწილეობით წინდაწინ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი შეშის გადაზიდვა შეიძლება მომავალ თვეში, იწარმოებს საექსპლოატაციო განყოფილებასთან არსებულ გადაზიდვის ადგილობრივ ბიუროში ყოველი თვის ათში.

ნაჩვენები წესები შეშის გადაზიდვისა ხმარებაში იქნება ამ.-კავკ.რკ.გზის შემდეგ სადგურებზედ: ფოთი, ლანჩხუთი, ქვალონი, მარელისი, ნატანები, სუმბათოვი, ბორჯომი, თელავი, წნორის-წყალი, ახტალა, იალობა, ხაშური, შაგალი, ბამბაკი, აჯამეთი, ყარაიაზი, ბადიაური, ხეთა, ქობულეთი, საგარეჯო, ჭალადიდი, მოლითი, ჯუმათი.

№ 392. 3—2

# განცხადება

## ზაჰესის მუშაობისათვის საჭიროა ნაძვის და ფიჭვის შემდეგი ზომის მასალა:

1) **ძელები** სიგრძით 12 ადლი სისხო სიგანით სხვა და სხვა ზომის სულ 2800 ღერამდე.
2) **ფიცარი**—სხვა და სხვა ზომის სიგრძით 12 ადლი სულ 3173 ღერი.
3) **ფინები** სხვა და სხვა ზომის სიგრძით 12 ადლი სულ 1350 ღერი.
4) **ნაგვერდული** სიგრძით 12 ადლი სიგანით 5 გოჯი სულ 3000 ღერი.
5) შუაზე დახერხილი მორი სიგრძით 12 ადლი სხვა და სხვა ზომის სულ 250 ღერი.
6) **მრგვალი ფიჭვის ან ნაძვის მორები** ვიწრო, თავში 3 გოჯიდან 7 გოჯამდე სულ 1300 ღერი.

აღნიშნული მასალა უნდა იყოს ახალი ხის, საღი, უჭიანო, არა ნაფუტარი, არა ხვეული, არა ნაჟურიანი, სწორი და სწორ ძაფიანი.

ნაჩვენები მასალის მიწოდება შეიძლება აღებულ იქნეს ან მთლად ან ნაწილობრივ, ზომების შესახებ დაწვრილებით ცნობების ძიება შეიძლება ზაჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილში,—ალმასკომის შენობა ოთახი № 12, ყოველ დღის 2 საათამდე.

აღნიშნული მასალის გასაცემად ზაჰესის სამმართველო ნიშნავს **25 ამა აგვისტოს, დილის 12 საათ.**

# შეჯიბრებას

და მსურველმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დახურული განცხადება რომელშიაც უნდა იქნეს აღნუსხული, როგორც მასალის რაოდენობა, ისე მათი ზომა და ღირებულებანი ფრანკო ვაგონი სადგ. ავჭალა ან საწყობი ზემო-ავჭალაში ჩაბარებით.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ზაჰესის სალაროში წინდაწინ საწინდრის სახით 5 პროც. იმ მასალას ღირებულებისა, რომლის აღებაც შეჯიბრებაში მონაწილეს სურს.

ფულის შეტანის ქვითარი უნდა იქნეს დართული განცხადებაზე. თუ შეკვეთა არ მიეცა, შემომტანს დაუბრუნდება დაუყოვნებლივ შემოტანილი თანხა.

განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადა არის 25 აგვისტო, დღის 12 საათი.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟენერი **ბ. ჭიჭინაძე.**

№ 394. 3—2.

კრეჩეტოვმა მითხრა დაბეჯითებით ამბობენ, რომ გემი „პავანას“ კაპიტნის თანაშემწის გვამს, რომელიც დასაფლავებულია ფოთის სასაფლაოზე, ხალხი ამოაგდებს საფლავიდან და ძაღლებს გადაუგდებსო. მე ამაზე გამეცინა და ვუთხარი: ეს პროვოკაცია არის თქო. შემდეგ კრეჩეტოვმა მე და ქალი დაგვტოვა; ქალმა შეშინებულის კილოთი და მოფერებით შემეკითხა: „თუ იცით ჩემ ქმარს ხომ არ მოკლავენო“. მე ვუთხარი ასეთი არაფერი გამიგონია მეთქი. მომეხმარე ოღონდ ქმარი არ მომიკლან და სანდალს მე დავაბრუნებინებო. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მივედი კრეჩეტოვთან. ჯერ კიდევ პასუხი არ მაქვს მიღებული, ალბათ რომ ფოსტა გაფიცულია იმიტომაო. დავდიოდი კრეჩეტოვთან, ისიც მატყუილებდა ჯერ პასუხი არ არისო, სანამ 1906 წლის იანვრის პირველ რიცხვებში რეაქცია არ მოგვიახლოვდა.

ამდენი იარაღი მოგვივიდა და ასე უკუღმართათ წავიდა მათი გამოტვირთვის საქმე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოგვდიოდა ჩვენი პარტიის ორგანიზაციებიდან იარაღის მოთხოვნილება ჩვენ კი იარაღი არა გვქონდა, რაც არავის სჯეროდა, ფიქრობდენ რომ უმალავდით იარაღს და უკმაყოფილოდ ბრუნდებოდენ უკან.

გადავწყვიტეთ გადმოგვეზიდა იმ იარაღის ნაწილი, რომელიც აფხაზეთში იყო ამოტვირთული და შენახული. ამ მიზნით ნოემბერში გავგზავნეთ აფხაზეთში მ. ბუკიას სანდალი, მას გაყვნენ გემით თ. სახოკია, ნ. კალანდარიშვილი, ი. ჩაჩავა, პ. ფალავა, ვ. ლოლუა, გ. ლომაია, ევ. შამათავა და სხვები. გემების მოსამსახურეთა გაფიცვის გამო ყველა ესენი ფოთიდან პირდაპირ ნოვოროსისკში მიიყვანა გემმა და იქ დატოვა; აქეთ წამომავალი გემი არ იყო მოსალოდნელი და ამის გამო ფეხით წამოვიდენ ნოვოროსისკიდან გაგრამდე, იარაღი ინახებოდა ბიწუნდაში, ინალიფას მამულში. სანდალიც იქვე მისულიყო და უცდიდა ტვირთს, იარაღის დატვირთვა არ დაანებეს ს.-დემოკრატებმა, მოუყარეს თავი ხალხს და დაასიეს ჩვენებს. დიდი ხნის დავისა და დავიდარაბის შემდეგ ჩვენებმა ძალით და თავგანწირული ბრძოლით ჩაიტანეს ზღვაზე და სანდალში ჩატვირთეს რამოდენიმე ასი თოფი. ამნაირად დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ე. ი. დეკემბერში წამოიღეს ეს იარაღი, რომლის ნაწილი ანაკლიის მახლობლად გადასცეს ზუგდიდელ ამხანაგებს და ნაწილიც ფოთში უნდა ამოეტვირთათ. ეს იარაღი ამოვტვირთეთ მდინარე რიონის სამხრეთის ტოტზე, იქ სადაც რიონი ზღვას ერთვის. აქ როგორც იყო იარაღი გავაპარეთ სანაპირო რაზმის დარაჯებს, მაგრამ ს.-დემოკრატებს ვერსად დავემალეთ. რიონის ნაპირიდან წამოვიღეთ იარაღი „ახალსოფლით“ და გვინდა შემოვიდეთ ქალაქში დაღამებისას. იარაღით დატვირთული მოვდიოდით 50 კაცამდე; აქ სხვათა შორის არიან: ი. თურქია, ი. ჩაჩავა, ა. ჩაჩავა, ნ. კალანდარიშვილი, კ. მეუნარგია, ნ. ელენტი, კ. გამყრელიძე, ა. ხოჭოლავა, ზ. ხუბუა, ზ. ხუბულავა, ე. ფრუიძე, ი. აბსავა, ს. ხოშტარია, ლ. მგელაძე, პ. ფალავა, გ. ლომაია, ლ. მელაძე, ე. შამათავა, ა. ბოკერია, გ. პოპონდოპულო, ე. კორტავა და სხვები ბევრი; ს.-დემოკრატებს ჩვენს წინაალმდეგ გამოუწვევიათ აუარებელი ხალხი, რომელიც ჯგუფჯგუფად აგვედევნენ და დაგვიპირეს იარაღის წართმევა. ჩვენ წინაალმდეგობას უწევთ და თან მოვდივართ ქალაქისკენ, გვინდა სადმე თავი შევაფაროთ, მოწინაალმდეგებს ემატებათ ახალ-ახალი ჯგუფები, მათ შორის ბევრი შეიარაღებულია თოფით. იგრძნეს რა ძალა მოწინაალმდეგეებმა უკვე იწყეს ძალადობა და ზოგ ჩვენგანს გამოსტაცეს თოფი, იწყება სროლა ორივე მხარიდან. სროლა ჯერ ჰაერშია, თანდათან ვიკაფავთ გზას და მივიწევით ქალაქისაკენ, მოწინაალმდევე ბრბო უკვე ათასობით გამრავლდა, ამ დროს მოვედით საქალებო გიმნაზიის შენობამდი, დავიკავეთ ამ შენობის ზედა სართული გავმაგრდით შიგ, გავაღეთ კარები, დავეწყვეთ თოფებით ამოსავალ კიბის თავზე და გადაწყვეტილი გვაქვს, თუ ვინმე გამოჩნდა, მოძალადე, ვესროლოთ. რამდენიმე ასეული კაცისაგან შემდგარი ბრბო გარს შემოეხვია გიმნაზიის შენობას. უკვე ღამდება, გაიმართა მოციქულობა: ს.-დემოკრატები თვითონ კისრულობენ შუა კაცობას, ისენი ამბობენ. ჩვენ არაფერი შუაში ვართ, ხალხი არ გვიჯერა, მოითხოვს იარაღი ნახევარი გადასცეთო. ჩვენ უარზე ვართ, არაფერს არ ვაძლევთ, ს.-დემოკრატები გვაშინებენ, თუ არ დათანხმდით ხალხი თავს დაგესხმიან და ძალით წაგართმევენო. ამნაირად საქმე მწვავდება. ამ დროს გიმნაზიის მახლობლად რამდენჯერმე გავარდა თოფი და ბრბოც უცებ გაქრა.

თურმე გარნიზონის ორი რუსი ჯარის კაცი მოსულა, გაუგიათ რაშიაც იყო საქმე და სროლით ნიშანი მიუციათ გარნიზონისათვის. მთელი ხალხი გაქცეულა. ზოგს იარაღიც დაუყრიათ იქვე ეზოში; ეს იარაღი ჯარის კაცებს აუკრებია და შემდეგ დამდგარან ჩვენი გამოსავალ კარებზე თოფებით. ჯარის კაცები იქეთ არ გვიშვებენ, ხოლო აქეთ არვის უშლიან შემოსვლას; შემოვიდენ ჩვენთან: ი. ფანცხავა, მ. ჩხენკელი, ლ. მგელაძე, ა. ხოფერია, ი. თურქია და სხვები.

შემოსულებმა გადმოგვცეს, რომ ეხლა მოვლენ გარნიზონიდან და გაგვჩხრეკენ, საჭიროა თოფების დამალვაო. სასწრაფოდ შევიმუშავეთ და სისრულეშიც მოვიყვანეთ შემდეგი გეგმა:

ოციოდე ამხანაგი ახალგაზრდა კაცი-მუშა შევაიარაღეთ თოფებით, ვითომ ესენი არიან ის მილიციელები, რომელთა დაქირავება და შეიარაღება ქალ. საბჭოსაგან გვაქვს დავალებული, ჩვენ კომისიის წევრებს, ხოლო დანარჩენი ას ორმოცდა ათამდე თოფი დავმალეთ სასცენო ოთახის თეთრ იატაკ და შავ იატაკ შუა; ერთი ფიცარი გამოვიღეთ კარის ქვეშ, თოფები შევაწყვეთ და ფიცარი ისევ მოვარგეთ. ესეც შევასრულეთ და შემოვიდნენ გარნიზონის უფროსი, 2 რუსი ოფიცერი და პოლიცმეისტერი. მოახდინეს მთელი შენობაში სასტიკი ჩხრეკა, გიმნაზიის უფროსის ქალის ოთახი გასტეხეს, ჩარდახზე ავიდნენ, რასაკვირველია ვერ მიაქციეს ყურადღება. ოც ახალ გაზრდას, ჩამოართვეს თოფი, მაგრამ ჩვენ აუხსენით, რომ ესენი ჩვენ, როგორც ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამ, შევაიარაღეთ, რაზედაც ქალაქის გამგეობას აქვს მთავრობის ნებართვა, რადგან პოლიცია ვერ იცავს ქალაქსო.

ასეთი ნებართვის არსებობა დაადასტურა იქვე მყოფმა პოლიცმეისტერმა აბაშიძემ. ამის გამო გარნიზონის უფროსმა თოფები დაუტოვა „მილიციელებს“, მხოლოდ წაიღო ამ „მილიციელების“ სია და თოფების ნომრები.

1906 იანვრის პირველ რიცხვებიდან უკვე ეტყობა, რომ რეაქცია გვიახლოვდება. 12—13 იანვრის ღამით, პლასტუნებმა დაარბიეს ფოთი და განსაკუთრებით დიდი კუნძული, გადასწვეს დუქნები და სახლები, მეორე დღეს დაიწყო ჩხრეკა-დატუსაღება, რასაც ხემძღვანელობდა სრული „პარადნი“ ფორმაში ჩაცმული კრეჩეტოვი. სანამ ჩემს ბინამდი მოაწევდა, მე მოვასწარი ფოთიდან გაპარვა. ოთხი თვე ვიმალებოდი. შემატყობინეს, რომ შემიძლია დაბრუნება. აპრილის ბოლოს დავბრუნდი. კრეჩეტოვი ფოთიდან გადაეყვანათ, კრეჩეტოვის მიერ სანდალთან ერთად დაპატიმრებული და პოლიციის თვალყურის ქვეშ განთავისუფლებული მეზღვაურებიდან უკვე დაეტუსაღებინათ ზოსიმე ხუბუა, ელისბარ ჩარტია და კორშია (სახელი დამავიწყდა, ესენი ჟანდარმებს ფოთელს—დემოკრატებთან ერთად სამართალში მიეცათ ე. წ. „ფოთის რესპუბლიკი“-ს საქმის გამო. საქმე გაარჩია ტფილისის პალატის სესიამ ბოლოროდსკის თავმჯდომარეობით და სამივე მეზღვაური სამუდამოთ გადაასახლა ციმბირში. გიორგი საბახტარაშვილმა და მე ამ საქმის გარჩევის დროს ბათუმში წავიყვანეთ ფოთის ნავთსადგურის ამშენებელი ინჟინერი სკარჟინსკი, რომელიც პალატის თავმჯდომარის მეგობარი იყო, სკარჟინსკი მიუგზავნეთ ბოლოროდსკის და ვთხოვეთ დახმარება. ბოლოროდსკის ეთქვა: თქვე დალოცვილებო ეს ამოდენა თოფები ხოხბებზე სანადიროთ ხომ არ მოიტანეს იმ კაცებმაო. ს.-დემოკრატები, ორის გარდა ყველა გაამართლეს, ორს კი მიუსაჯეს 8 და 10 თვე დაპატიმრება წესწყობილების საწინაალმდეგო საზოგადოების წევრობისათვის. ამის შემდეგ იმავე სესიამ სოხუმში გაარჩია საქმე სოხუმის აჯანყების შესახებ და თედო სახოკიას, როგორც იარაღის გადმოზიდვის ინიციატორს სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

დააპატიმრეს აგრეთვე მუშა მიგინეიშვილი გემი „პავანას“ კაპიტნის თანაშემწის მკვლელი; გადასცეს საველე სასამართლოს, რომელმაც დახვრეტა გადაუწყვიტა და განაჩენი დაუყონებლივ იქნა მოყვანილი სისრულეში. თედო სახოკია და ზოსიმე ხუბუა ციმბირიდან გამოიქცენ. ჩარტია და კორშია ციმბირში დაიხოცნენ, მათგანი კორშია იქითობას ციმბირის გზაზე, ჩარტია კი თვით ციმბირში.

აი ყოველივე რაც მომაგონდა 1905—1906 წლებიდან იარაღის გარშემო.

რასაკვირველია, ბევრი რამ დამავიწყდებოდა ამდენი ხნის განმავლობაში, მაგრამ ეს მეპატიება, როგორც მოხუცს.

ამნაირად, გამართლდა ის აზრი, რომ ჩვენმა პარტიამ მისი ნორჩი და სუსტი ორგანიზაციით ვერ შეასრულა თავისი როლი ღირსეულათ. ამოდენი იარაღი, გიორგი დეკანოზიშვილმა, შვეიცარიიდან, გიბლარტარით, ფოთამდი მოიტანა და ჩვენ კი გემიდან ნაპირზე ვერ გადმოვტვირთეთ, თუმცა ამავე დროს ამას საპატიო მიზეზებიც ქონდა, ე. ი. ბევრი სხვა მიზეზებს ზედ მოულოდნელად ცუდი ზღვა დაერთო, რომელმაც სულ ერთიანად შესცვალა ჩვენი გეგმა. ყოველ შემთხვევაში, რომ გადაგვედგა უარესი იქნებოდა, ვინაიდან 1906 წლის იანვრიდან, თურმე მოგვისწრებდა რეაქცია და შემდეგ სრულიად შეუძლებელი იყო იარაღის გადმოტვირთვა.

მიუხედავად იმისა, რომ ასე უხეიროდ ჩაიარდა იარაღის გადმოზიდვა, ეს აქტი მაინც ღირსშესანიშნავი იყო იმ დროს. ამ ამბავმა, როგორც უაღრესად რევოლიუციონურმა აქტმა, თავზარი დასცა თვით-მპყრობელობის მთავრობას და ყველა ჯურის „ველიკოდერჟავნიკებს“.

ჭეშმარიტ რუსთა პარტიამ ამ საქმეზე განსაკუთრებული ბროშურა გამოსცა, „იზნანკა—რევოლიუციი“-ს სათაურით, სადაც ფინლიანდიელი რევოლიუციონერის (როგორც მახსოვს) კონიცილიკუსის გვერდით ნახსენები იყო ქართველი რევოლიუციონერი გიორგი დეკანოზიშვილი. ბროშურაში გულისწყრომათ იყო აღნიშნული, რომ ერთი გემით ფინლიანდიაში გაიგზავნა იარაღი (როგორც მახსოვს 25 ათასი თოფი) და მეორეთი, ე. ი. გემით „სირიუსი,“ 10 ათასი თოფი საქართველოში. ბროშურაში იყო მოთავსებული ცილიაკუსისა და დეკანოზიშვილის მიწერმოწერის ასლებიც.

ვერც ფინლიანდიაში გაგზავნილმა იარაღმა მიაღწია მიზანს; გემი, რომელსაც იარაღი მიქონდა, როგორც ხმა იყო გავრცელებული, ფინეთის ზღვაში წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და დაიღუპა.

დასასრულ, ვათავებ რა ამით, ვთხოვ იმ ამხანაგებს, რომელთაც უფრო დაწვრილებით იციან იარაღის გადმოზიდვის ისტორია შეიტანონ ამ ჩემს მოგონებაში სათანადო შესწორებანი.

**მ. ესაკია.**

ზირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 560 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4.